ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ამა წლის 7 სექტემბრის N 10/9685 წერილის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2017 წლის ანგარიშს, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

"ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე,

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი ვლადიმერ ძნელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 6 ფურცელი

№10/9685 11.10.17

2017 წლის ანგარიში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის ვლადიმერ ძნელაძის ბიუროს მუშაობის შესახებ (იანვარი-ოქტომბერი)

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობა საკრებულოში.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი ვლადიმერ ძნელაძე მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ თბილისის საკრებულოს საქმიანობაში.

2017 წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე გაიმართა საკრებულოს 20 სხდომა, დეპუტატი დაესწრო 19 სხდომას.

2017 წელს საკრებულომ მიიღო 69 დადგენილება და 448 განკარგულება.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი აქტიურად არის ჩართული განათლების და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიების საქმიანობაში. 2017 წელს კომისიების წარმატებული მუშაობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად ეფექტური და დახვეწილი გახდა ქალაქის კულტურის, ჯანდაცვის და სოციალური პოლიტიკა.
კომისიებზე მუშავდებოდა შემდეგი პროგრამების ეფექტურად ფუნქციონირების საკითხები: სასწრაფო დახმარება, ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა, "C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ადრეული ძუძუს კიბოს დაფინანსების პროგრამა, დაავადებათა სკრინინგი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გადამდებ და არაგადადმდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი, 18 წლამდე შშმ ბავშვების, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება, მუნიციპალური თავშესაფარის მოვლა-პარონობა, შინმოვლის სერვისის დაფინანსება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ანგარიშის მიმოხილვა

2014 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე იდგა უამრავი გამოწვევა, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მიმართულებით. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იკვეთებოდა შემდეგი სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, მოუწესრიგებელი საგზაო და

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, დაზიანებული საკანალიზაციო, სანიაღვრე ქსელები, ამორტიზირებული სახლები და კორპუსის სახურავები, მოუწესრიგებელი სტადიონები, დაზიანებული პარკები და სკვერები უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სათამაშო ატრაქციონებით. ყველა შეხვედრაზე დგებოდა წამლების, ოპერაციული მკურნალობის, უმუშევრობის, უფასო სასადილოებში შექმნილი მძიმე პირობებისა და სხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

აღნიშნულ დოკუმენტში შევეცდებით მიმოვიხილოთ რაიონულ გამგეობებთან, ქ.თბილისის მერიასთან, სახელმწიფო ინსტიტუციებთან და კერძო სექტორთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაწეული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

მაჟორიტარი წევრის ბიურო და მისი საქმიანობა

საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. ოთხშაბათი მოქალაქეთა მიღების დღეა, მაჟორიტარი უშუალოდ თვითონ ხვდება ამომრჩეველს, ისმენს მათ საჭიროებებს, ეცნობა მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. მაჟორიტარი წევრის და მისი ბიუროს საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგდოებრივი საქმიანობა. ნებიესმიერ მოქალაქეს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საშუალება ეძლევა, კვირის ნებისმიერ სამუშაო დღეს, ქალაქის საკრებულოს შენობაში შეხვდეს მაჟორიტარ წევრს.

პრობლემების გადაწყვეტის პროცესი ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, უწყებების ხელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების თუ წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

2017 წელს დიდუბის რაიონის ბიუჯეტი შეადგენს 15 მილიონ ლარს, 2014 წლის ბიჯუჯეტთან შედარებით იგი გაზრდილია ორჯერ.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის და დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობებთან, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებთან, შ.პ.ს ყაზტრანგაზთან, საქართველოს რკინიგზასთან, ს.ს „თელასი"-თან და სხვა უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მიმდინარე წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე მიღებულ იქნა და შუამდგომლობა გაეწია 800-მდე მოქალაქეს.

ინფრასტრუქტურული სფერო

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის და რაიონის გამგეობის ძალისხმევით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კაპიტალურად შეკეთდა და გარემონტდა დიდუბის რაიონში მდებარე თითქმის ყველა ქუჩა. მათ შორის აღსანიშნავია თევდორე მღვდლის, ბაგრატიონის, მირცხულავას, აგლაძის, ქუთაისის ქუჩებისა და წერეთლის გამზირის კაპიტალური რეაბილიტაცია, რომლის დროსაც მოხდა სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების განახლება.

მუნიციპალური უფლებამოსილებების აღსრულების პროცესში აუცილებელია მოსახლეობის ჩართულობა და ამხანაგობის ინსტიტუტის გაძლიერება. ამხანაგობებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად გადაიხურა კორპუსები, განახლდა სადარბაზოები, შეიღება ფასადები, გამოიცვალა წყალსაწრეტი მილები. ყველასთვის თვალშისაცემია და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ახალგაზრდებში, ისე ზრდასრულ მოსახლეობაში, განახლებული და ახლად მოწყობილი სკვერები და პარკები ღია სავარჯიშო მოწყობილებებით. სამწუხაროდ რაიონში კვლავ რჩება სახლები, რომელშიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ დგება ამხანაგობები. იქ მცხოვრებლები მუდმივად მოგვმართავენ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების თხოვნით, მაგრამ კანონი არ გვაძლევს საშუალებას გადავჭრათ მათი საკითხები. შესაძლებელია მოხდეს მსჯელობა, გამოუვალ სიტუაციებში, როგორ შეძლოს მუნიციპალიტეტმა ამხანაგობის არ მქონე ბინის მაცხოვრებლების დახმარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოქალაქე სოციალურად დაუცველია.

- წყალსადენი კომუნიკაცია შეიცვალა 25 მისამართზე;
- სპორტული მოედანი რეაბილიტირდა 5 მისამართზე;
- არსებული სკვერი რეაბილიტირდა 56 მისამართზე;
- ახალი სკვერი მოეწყო 8 მისამართზე;
- გზები რეაბილიტირდა 36 მისამართზე;

დასრულდა აღმაშენებლის N 16 კორპუსი, რომელიც მიტოვებული იყო 29 წლის განმავლობაში. მაცხოვრებლებს დავპირდით კორპუსის დასრულებას და გვინდა აღვნიშნოთ, რომ შევძელით კორპუსის სრული აღდგენა-რეაბილიტაცია. 100-მდე ოჯახმა შეძლო ახლად აშენებულ კორპუსში შესახლება.

რაიონში რეაბილიტაციას საჭიროებს უამრავი სახლი. მძიმე მდგომარეობაა ქუთაისის, თევდორე მღვდლისა და ბაგრატიონის ქუჩებზე. დიდუბის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ამხანაგობებთან ერთად მუდმივად ცდილობს სახლების გამაგრებას, მაგრამ პრობლემა კვლავ ერთ ერთ მძიმე გამოწვევად გვრჩება.

რაიონში მწვავედ დგას აგლაძის ქუჩის და მიმდებბარე კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემა. მოგეხსენებათ აღნიშნული ქუჩა ესაზღვრება ელიავას ბაზრობას. მოსახლეობას უწევს ცხოვრება სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების პარალელურად, მათ შორის საბურავების შეცვლის სერვისებთან. მაცხოვრებლები მუდმივად მოგვმართავდნენ ხმაურის, ანტისანიტარიისა და საცობების საკითხით. დიდი ძალისხმევით შევძელით, რომ პარლამენტს მიეღო კანონი ხმაურის აკრძალვის შესახებ, ამ ფაქტმა შედარებით მოაგვარა მაცხოვრებლების პრობლემა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები კვლავ მოუგვარებელია. პრობლემის მთავარი მიზეზი გაქირავებული პირადი საკუთრებებია, რომელში ჩარევის კომპეტენცია, გარდა სხვადასხვა ტიპის რეგულეციების, სახელმწიფოს არ გააჩნია.

წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა ქ.თბილისის მე-100 სკოლის აღდგენა. დანგრეული სკოლის კონტიგენტი შესახლებულია დიდუბის რაიონში მდებარე 166-ე სკოლაში. ორ სკოლას უჭირდა ერთად ფუნქციონირება, მძიმე მდგომარეობაში იყვნენ როგორც პედაგოგიური კოლექტივები, ისე მოსწავლეები. ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების სწორი და კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად დაწყებულია სკოლის მშენებლობის პროცესი და სავარაუდოდ 6 თვეში სკოლა შევა ექსპლუატაციაში.

მიუხედავად ჩვენი გუნდის დაუღალავი მუშაობისა, დიდუბეში კვლავ რჩება პრობლემები, რომლის მოგვარების კომპეტენცია ცდება ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებს.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თბილისის ბიუჯეტი გახდა სოციალურ საჭიროებებზე მაქსიმალურად ორიენტირებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაკმაყოფილდა ყველა მოქალაქის შუამდგომლობა მედიკამენტოზურ, ოპერაციულ, სარეაბილიტაციო და სხვა ტიპის სოციალურ საჭიროებებზე. პრობლემები, რომლის მოგვარების კომპეტენცია არ გააჩნია ადგილობრივ თვითმმართველობებს, ვცდილობთ გადავჭრათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ან არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით.

განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხები

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის ლადო ძნელაძის და მისი გუნდის მხარდაჭერით, 2014 წლის არჩევნების დასრულებისთანავე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „დიდუბე 2014“. გუნდის ხელმძღვანელობის მთავარ მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისა და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების შვილების პრევენცია სხვადასხვა დანაშაულებებისგან და მათი აქტიური ჩართვა ჯანსაღ სპორტულ ცხოვრებაში. ამ ეტაპზე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში წვრთნას გადის 150-მდე ბავშვი. ქვეყნის მასშტაბით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებზე გუნდი მუდამ მოწინავე პოზიციებზე ასპარეზობს.

დიდუბის მაჟორიტარი წევრის ბიურო რაიონში არსებულ „თბილისის საერთაშორისო სკოლა“-სთან ერთად, ახორციელებს პროფორიენტაციის პროექტს „გაიცანი შენი პროფესია“. პროექტის მიზანია დავეხმაროთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევაში და გავაცნოთ სასურველი პროფესიის პრაქტიკული სპეციფიკ, საჯარო და კერძო სტრუქტურებში. ბავშვები ჩართულები იყვნენ საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების განხილვებში და სხვადასხვა უნივერსიტეტებში დაესწრენ საუნივერსიტეტო პროცესს. სამომავლოდ იგეგმება პარტნიორობა თბილისის 22-ე საშუალო სკოლასთან და პროექტი შეიძენს დიდ მასშტაბებს. მოსწავლეები კმაყოფილები არიან მიმდინარე ღონისძიებებში ჩართულობით და თვლიან რომ ეს პროექტი ეხმარებათ მათ სასურველი პროფესიის სწორად არჩევაში.

მაჟორიტარი წევრი და მისი ბიურო აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მათთან ერთად მუდმივად იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. ჩვენი ძირთადი პარტნიორი ორგანიზაციებია „ბავშვი და გარემო“, „პირველი ნაბიჯი“, “კარიტასი საქართველო“, „კავშირი მშობლების თანადგომა“ და ორგანიზაცია “საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“.

მაჟორიტარი წევრის ბიურო, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მეშვეობით კვლავ გაგრძელებს აქტიურ მუშაობას სხვადასხვა უწყებებთან, რაც საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ჩავერთოთ, გავაკონტროლოთ მოსახლეობისთვის მუნიციპალური ვალდებულებების აღსრულების პროცესი და ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ მოსახლეობის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.